2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study)

ანგარიში

პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი

2016

კვლევის მიზნები და ამოცანები

კურსდამთავრებულთა კვლევა არის რეტროსპექტიული ხედვა სამიზნე ჯგუფის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ, ასევე შედეგების შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სისტემატურ ანალიზს იმ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების (პოზიტიური ან ნეგატიური; დაგეგმილი ან დაუგეგმავი) შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში დასაქმების კუთხით. კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study) საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასების და აღწერისათვის. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპთან (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა) მიმართებაში.

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნებს წარმოადგენს:

- იმ ცვლილებების გამოვლენა რასაც ადგილი ჰქონდა სწავლის დასრულების შემდგომ ბენეფიციართა ცხოვრებაში;
- იმის განსაზღვრა შეუწყო თუ არა ხელი საგანმანათლებლო ინტერვენციამ აღნიშნული ცვლილებების განხორციელებას. კერძოდ, ცვლილებები განპირობებული იყო ინტერვენციით, თუ - სხვა ფაქტორებით;
- საგანმანათლებლო ინტერვენციის ეფექტურობის შეფასება.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილების შესწავლა;
- კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული გეგმების შესწავლა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე კურსდამთავრებულთა განათლების დონის იდენტიფიცირება.
- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა

საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება; დაუსაქმებლობის შემთხვევაში უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;

- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირის გამოვლენა;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
- კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება;

კვლევის მეთოდი

კვლევა ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 3767 რესპონდენტი. პასუხები შეტანილ იქნა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში; ვებ. გვერდის poll.vet.ge მეშვეობით. ელექტრონულად შევსებული ანკეტების შედეგები ექსპორტირდა „MS excel“-ის ბაზაში, ხოლო შემდგომ „SPSS”. ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა „EMIS”.

ძირითადი მიგნებები

- ✓ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია სასწავლებლით, რომელშიც პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა გაიარა. კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა 93.5% აცხადებს, რომ ახლა რომ აბარებდეს იმავე სასწავლებელს აირჩევდა, მხოლოდ 6.5% აღნიშნავს, რომ არ აირჩევდა იმავე სასწავლებელს, ხოლო გამოკითხულთა 81.3% კმაყოფილია პროფესიული პროგრამით (აირჩევდა იმავე პროფესიას). მონაცემების დინამიკაში დაკვირვებისას იკვეთება შემდეგი სურათი, 2014 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებით გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 94.7% კმაყოფილია პროფესიული სასწავლებლით, ხოლო გამოკითხულთა 87% - პროფესიული პროგრამით (აირჩევდა იგივე პროფესიას). 2012-2013 სასწავლო წლის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები ამ თვალსაზრისით შემდეგი სახისაა: 92.2% კმაყოფილია პროფესიული სასწავლებლით, ხოლო გამოკითხულთა 84.9% - პროფესიული პროგრამით (აირჩევდა იგივე პროფესიას);

- ✓ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 48%, აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია მიღებულ პროფესიასთან. 2014 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებით, ანალოგიური მაჩვენებელი 54%-ს შეადგენდა, ხოლო 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებით 42%-ს.

- ✓ **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 34%-მა, ხოლო 22%-ს სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო.[1] შესაბამისად, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის გამოკითხულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 56%-ს შეადგენდა. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა საშუალო ხელფასი, რომლებმაც სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეს მუშაობა ან სწავლის დასრულების მომენტამდე უკვე ჰქონდათ ანაზღაურებადი სამუშაო 508 ლარს შეადგენს.**

[1]ამ უკანასკნელში მოიაზრებიან ის ადამიანებიც, რომლებმაც სწავლის პროცესში დაიწყეს მუშაობა

- ✓ ამჟამად დასაქმებულების პროფესიების მიხედვით განაწილებას თუ შევხედავთ, პირველ ათეულს შემდეგი პროფესიები ქმნიან:
    - ✓ ბუღალტერი
    - ✓ მზარეული
    - ✓ ელექტრიკოსი
    - ✓ სასტუმრო საქმისმწარმოებელი
    - ✓ ოფისის მენეჯერი(მდივან-რეფერენტი)
    - ✓ ინფორმაციული ტექნოლოგი
    - ✓ შემდუღებელი
    - ✓ სტილისტი (ქალი, მამაკაცი)
    - ✓ სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
    - ✓ კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი

- ✓ ამჟამად დასაქმებულ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 36%-ს 1 წლამდე სამუშაო ხელშეკრულება აქვს, 16%-ს უვადო, 4%-ს 1-იდან 3 წლამდე, 11%-მა არ იცის აქვს თუ არა სამუშაო ხელშეკრულება, ხოლო 32% აცხადებს, რომ სამუშაო ხელშეკრულება არ აქვთ.

- ✓ ამჟამად დასაქმებულ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 66% აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არიან, სამსახურით ნაწილობრივ კმაყოფილია ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 28.5%. ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 5% აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არ არის.

- ✓ იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სთხოვდნენ შეეფასებინათ მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნები. ამჟამად დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობა 57% აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია, ხოლო 23% აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული სამუშაოსთან, 18% ამბობს, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე სამუშაო მოთხოვნები, ხოლო 1.8% აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვთ.

- ✓ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 35% აღნიშნავს, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავს, 29% აცხადებს, რომ არ გეგმავს სწავლის გაგრძელებას, ხოლო 36.4%-ს ჯერ არ გადაუწყვიტავს გააგრძელებს თუ არა სწავლას. იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავენ, ეკითხებოდნენ, თუ რომელ სასწავლებელში გეგმავენ სწავლის გაგრძელებას. იკვეთება, რომ მათი 49% სწავლის გაგრძელებას გეგმავს პროფესიულ სასწავლებელში, 33% - უმაღლეს სასწავლებელში,

ხოლო 16%-ს ჯერ არ გადაუწყვიტავს თუ რომელ სასწავლებელში გეგმავს სწავლის გაგრძელებას.

კვლევის შედეგები

I. რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის 2016 წლის რაუნდის ფარგლებში გამოიკითხა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2015 წლის კურსდამთავრებულები. საერთო ჯამში გამოიკითხა 3767 კურსდამთავრებული. გამოკითხულთა 53%(1985) კაცია, ხოლო 47% (1782)- ქალი. იხ. დიაგრამა #1

დიაგრამა #1: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სქესის ნიშნით



გამოკითხულ კურსდამთავრებულთა11% სოციალურად დაუცველი პირია, 5% იძულებით გადაადგილებული პირი, 1% შშმპ, ხოლო 0.6% სსსმპ. იხ. დიაგრამა #2

დიაგრამა #2: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სოციალური სტატუსის მიხედვით



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ძირითადად საშუალო განათლების მქონე ადამიანები აბარებენ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 45%-ს საშუალო განათლება (12 კლასი) ჰქონდა, 25%-ს - უმაღლესი განათლება, 19%-ს საბაზო განათლება (9 კლასი), ხოლო 11%-ს კი პროფესიული განათლება. იხ. დიაგრამა #3

დიაგრამა #3: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე მიღწეული განათლების უმაღლესი დონის მიხედვით



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სოციო-ეკონომიკური პროფილის უკეთ შესწავლის მიზნით, კურსდამთავრებულებს ეკითხებოდნენ, თუ რას საქმიანობდნენ პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 36%[2] აღნიშნავს, რომ პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში დასაქმებული იყო, 36% აცხადებს, რომ სწავლობდა, 27%- უმუშევარი იყო. იხ. დიაგრამა #4

იმისათვის რომ დავადგინოთ, რა როლს ასრულებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დასაქმების აღნიშნული მაჩვენებლის განხილვა რამდენიმე ინდიკატორთან მიმართებით, ესენი:

1. **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი** - ეს უკანასკნელი 2015 წლის კურსდამთავრებულთა შორის 54%-ს შეადგენს;
2. **პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უმუშევარ კურსდამთავრებულთა შორის რამდენი პროცენტი დასაქმდა პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პროცესში ან სწავლის დასრულების შემდეგ** - სწავლის დაწყებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უმუშევარ კურსდამთავრებულთა 40% პროფესიულ პროგრამაზე სწავლის განმავლობაში ან სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდა.

დიაგრამა #4: კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქმიანობის ტიპის მიხედვით

[2] მოიაზრებიან თვითდასაქმებულებიც



იკვეთება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო კურსდამთავრებულთა 34%-მა, ხოლო 22%-ს სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო. შესაბამისად, პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების მომენტისთვის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 56%-ს შეადგენდა. იხ. დიაგრამა #5

დიაგრამა #5 კურსდამთავრებულთა განაწილება სწავლის დასრულების მომენტისთვის დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყო მუშაობა, (იგულისხმება ის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა, რომელზე სწავლაც 2015 წელს დაასრულეს), ეკითხებოდნენ, რა ტიპის ორგანიზაცია იყო მათი დამსაქმებელი. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები უმრავლეს შემთხვევაში კერძო სექტორში საქმდებიან. სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა 79% კერძო სექტორში მუშაობს, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობა 14%- საჯარო სექტორში. იხ. დიაგრამა #6

დიაგრამა #6:დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება დასაქმების სექტორების მიხედვით



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყეს, მაგრამ არა საკუთარი სპეციალობით, ეკითხებოდნენ აღნიშნულის მიზეზს, მათგან49% აცხადებს, რომ აღნიშნულის მიზეზი პროფესიით ვერ დასაქმებაა, 7% მიზეზად კვალიფიკაციის ნაკლებობას ასახელებს, 5% აღნიშნავს, რომ ხელფასი იყო არადამაკმაყოფილებელი, 4% აცხადებს, რომ სამუშაო გრაფიკი იყო არადამაკმაყოფილებელი. იხ. დიაგრამა 7

დიაგრამა #7: გამოკითხულთა განაწილება პროფესიულ საგანამანთლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით ვერ დასაქმების მიზეზების მიხედვით



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეს მუშაობა ან სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდათ ანაზღაურებადი სამუშაო, ეკითხებოდნენ შეიცვალეს თუ არა აღნიშნული სამსახური. გამოკვეთილი უმრავლესობა 62% აღნიშნავს, რომ სამსახური არ შეუცვლია, 26.6%-მა სამსახური შეიცვალა, ხოლო 11% სამსახურიდან წამოვიდა და მას შემდეგ არ უმუშავია. იხ. დიაგრამა #8

დიაგრამა #8: გამოკითხულთა პროცენტული განაწილება სამსახურის შეცვლის მაჩვენებლის მიხედვით



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდნენ ან სწავლის დასრულებამდე უკვე ჰქონდათ ანაზღაურებადი სამსახური, თუმცა შემდგომში ეს სამსახური შეიცვალეს, ეკითხებოდნენ მიზეზს, რატომ შეიცვალეს სამსახური/წამოვიდნენ სამსახურიდან. იკვეთება, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 22%-მა სამსახური ხელფასის არადამაკმაყოფილებლობის გამო შეიცვალა ან წამოვიდა სამსახურიდან; 18.5% აღნიშნულის მიზეზად უკეთესი პოზიციის/თანამდებობის შეთავაზებას ასახელებს; 11% -სამუშაო გრაფიკის არადამაკამყოფილებლობას; 6% აცხადებს, რომ სამსახური შორს იყო საცხოვრებელი ადგილიდან; 4.4% აღნიშნავს, რომ სამსახურიდან კადრების შემცირების გამო გაათავისუფლეს. იხ. დიაგრამა #9

დიაგრამა #9: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამსახურის შეცვლის/სამსახურიდან წამოსვლის მიზეზების მიხედვით



გამოკითხულ კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა, 81% აცხადებს, ახლა რომ აბარებდეს იმავე პროფესიას აირჩევდა, ხოლო 19% აღნიშნავს, ახლა რომ აბარებდეს იმავე პროფესიას არ აირჩევდა. იხ. დიაგრამა #10

დიაგრამა #10: კურსდამთავრებულთა განაწილება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: "ახლა რომ აბარებდეთ აირჩევდით თუ არა იმავე პროფესიას"



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ: ახლა რომ აბარებდნენ იმავე პროფესიას არ აირჩევდნენ, ეკითხებოდნენ აღნიშნულის მიზეზს. იკვეთება, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 22% იმავე პროფესიის არ არჩევის მიზეზად აღნიშნული პროფესიით ვერ დასაქმებას ასახელებს, 8% აცხადებს, რომ პროფესია არ მოეწონათ, 4% ამბობს, რომ იმავე პროფესიას სწავლების დაბალი დონის გამო არ აირჩევდნენ, ასევე 4% აღნიშნავს, რომ მათი პროფესია დაბალანაზღაურებადია და ამიტომ იმავე პროფესიას ხელახალი შესაძლებლობის შემთხვევაში არ აირჩევდა, 3.6% ამბობს, რომ იმავე პროფესიას პრაქტიკის კომპონენტის დაბალი დონის გამო არ აირჩევდა. იხ. დიაგრამა #11

დიაგრამა #11:კურსდამთავრებულთა განაწილება შესაძლებლობის შემთხვევაში საკუთარი პროფესიის ხელახალი არჩევის სურვილის მიხედვით



კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, კმაყოფილია სასწავლებლით, რომელშიც პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა გაიარა. კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა 93.5% აცხადებს, რომ ახლა რომ აბარებდეს იმავე სასწავლებელს აირჩევდა, მხოლოდ 6.5% აღნიშნავს, რომ არ აირჩევდა იმავე სასწავლებელს. იხ. დიაგრამა #12

დიაგრამა #12: კურსდამთავრებულთა განაწილება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: ”ახლა რომ აბარებდეთ აირჩევდით თუ არა იმავე პროფესიულ სასწავლებელს”



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ რომ ხელახალი შესაძლებლობის შემთხვევაში იმავე პროფესიულ სასწავლებელს არ აირჩევდნენ, ეკითხებოდნენ აღნიშნულის მიზეზს. იკვეთება, რომ კურსდამთავრებულთა 23% აღნიშნულის მიზეზად სწავლების დაბალ დონეს ასახელებს; 22% - პრაქტიკის კომპონენტის დაბალ დონეს, 7% სასწავლო რესურსების არ არსებობას, ხოლო 5% - ლექტორების არაკვალიფიციურობას. იხ. დიაგრამა #13

დიაგრამა #13:კურსდამთავრებულთა განაწილება შესაძლებლობის შემთხვევაში სასწავლებლის ხელახალი არჩევის სურვილის მიხედვით



გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 35% აღნიშნავს, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავს, 29% აცხადებს, რომ არ გეგმავს სწავლის გაგრძელებას, ხოლო 36.4%-ს ჯერ არ გადაუწყვიტავს გააგრძელებს თუ არა სწავლას. იხ. დიაგრამა #14

დიაგრამა #14: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება იმის მიხედვით გეგმავენ თუ არა სწავლის გაგრძელებას



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სწავლის გაგრძელებას გეგმავენ, ეკითხებოდნენ, თუ რომელ სასწავლებელში გეგმავენ სწავლის გაგრძელებას. იკვეთება, რომ მათი 49% სწავლის გაგრძელებას გეგმავს პროფესიულ სასწავლებელში, 33% - უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო 16%-ს ჯერ არ გადაუწყვიტავს თუ რომელ სასწავლებელში გეგმავს სწავლის გაგრძელებას. იხ. დიაგრამა #15

დიაგრამა #15: კურსდამთავრებულთა განაწილება იმის მიხედვით თუ რომელ სასწავლებელში გეგმავენ სწავლის გაგრძელებას



კურსდამთავრებულებს ეკითხებოდნენ მათი ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ, იკვეთება რომ კურსდამთავრებულთა 47% ამჟამად დასაქმებულია, 5% თვითდასაქმებულია, 6% პროფესიულ სასწავლებელში სწავლობს, 6% უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, ხოლო 36% დაუსაქმებელია. იხ. დიაგრამა #17

დიაგრამა #17: კურსდამთავრებულთა განაწილება მათი ამჟამინდელი საქმიანობის მიხედვით



კურსდამთავრებულთა 5.3% ამჟამად სწავლობს უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურზე. მათი 85%, რომლებიც ამჟამად უმაღლეს განათლებაში არიან ჩართული ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობს, 14%- მაგისტრატურის, ხოლო 0.5% დოქტორანტურის. იხ. დიაგრამა #18

დიაგრამა #18: ამჟამად უმაღლეს განათლებაში ჩართულ კურსდამთავრებულთა განაწილება განათლების საფეხურების მიხედვით



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ამჟამად უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებენ სწავლას ეკითხებოდნენ პროფესია, რომელსაც ამჟამად ეუფლებიან არის თუ არა დაკავშირებული პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უმრავლესობა 56% აცხადებს, რომ სპეციალობა, რომელსაც ისინი ამჟამად ეუფლებიან დაკავშირებული არ არის პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამასთან, რომელზეც ისინი სწავლობდნენ. 25% აცხადებს, რომ მათი ამჟამინდელი სპეციალობა ნაწილობრივ არის დაკავშირებული იმ პროფესიულ პროგრამასთან, რომელზეც სწავლობდნენ. ხოლო 19% აცხადებს, რომ მათი ამჟამინდელი სპეციალობა და პროფესიული პროგრამა, რომელზეც სწავლობდნენ ერთმანეთთან დაკავშირებულია. იხ. დიაგრამა #19

დიაგრამა #19: კურსდამთავრებულთა განაწილება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: ”პროფესია, რომელსაც ამჟამად უმაღლეს სასწავლებელში ეუფლებით არის თუ არა დაკავშირებული პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან”



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ამჟამად სწავლობენ პროფესიულ ან უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ეკითხებოდნენ მათი ამჟამინდელი სასწავლო პროგრამა არის თუ არა დაკავშირებული წინა სასწავლო პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან. კურსდამთავრებულთა 47% აცხადებს, რომ მათი ამჟამინდელი სასწავლო პროგრამა დაკავშირებულია წინა პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან, 37% ამბობს, რომ არ არის დაკავშირებული , ხოლო 15.5% აღნიშნავს რომ ნაწილობრივ არის დაკავშირებული. იხ. დიაგრამა #20

დიაგრამა #20: კურსდამთავრებულთა განაწილება შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: ”თქვენი ამჟამინდელი სასწავლო პროგრამა დაკავშირებულია თუ არა თქვენს წინა სასწავლო პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან”



იმ ადამიანებს, რომლებიც აცხადებდნენ რომ ამჟამად მუშაობენ, ეკითხებოდნენ რა ტიპის დაწესებულებაში მუშაობენ. გამოკითხულთა უმრავლესობა 73% აცხადებს, რომ კერძო სექტორში მუშაობს, ხოლო 24% აღნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულებაში მუშაობს. იხ. დიაგრამა #21

დიაგრამა #21: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება დასაქმების სექტორის მიხედვით



ამჟამად დასაქმებულთა 37% პროფესიულ საგანამანთლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით მუშაობს. დასაქმებულთა 11% აცხადებს, რომ ისინი ნაწილობრივ მუშაობენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით. იხ. დიაგრამა #22

დიაგრამა #22: დასაქმებულთა განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით დასაქმების მიხედვით



გამოკითხულ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 36%-ს 1 წლამდე სამუშაო ხელშეკრულება აქვს, 16%-ს უვადო, 4%-ს 1-იდან 3 წლამდე, 11%-მა არ იცის აქვს თუ არა სამუშაო ხელშეკრულება, ხოლო 32% აცხადებს, რომ სამუშაო ხელშეკრულება არ აქვთ. იხ. დიაგრამა #23

დიაგრამა #23: დასაქმებულ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამუშაო ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით



გამოკითხულ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 66% აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არიან, სამსახურით ნაწილობრივ კმაყოფილია ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 28.5%, ხოლო დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 5% აცხადებს, რომ სამსახურით კმაყოფილი არ არის. იხ. დიაგრამა #24

დიაგრამა #24: ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამსახურით კმაყოფილების მიხედვით



იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სთხოვდნენ შეეფასებინათ მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნები. ამჟამად დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობა (57%) აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია, ხოლო 23% აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული

სამუშაოსთან, 18% ამბობს, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე სამუშაო მოთხოვნები, ხოლო 1.8% აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვთ. იხ. დიაგრამა #25

დიაგრამა #25: ამჟამად დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობის მიხედვით



იმ რესპონდენტებს, რომლებიც ამჟამად თვითდასაქმებულები არიან ეკითხებოდნენ, მუშაობენ თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით. თვითდასაქმებულთა 37% პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით მუშაობს. თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა 16% აცხადებს, რომ ისინი ნაწილობრივ მუშაობენ საკუთარი სპეციალობით, ხოლო 47% ამბობს, რომ პროფესიულ პროგრამაზე მიღებული სპეციალობით არ მუშაობენ. იხ. დიაგრამა #26

დიაგრამა #26: თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება იმის მიხედვით მუშაობენ თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სპეციალობით



ამჟამად თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულებს ეკითხებოდნენ, თუ რატომ გადაწყვიტეს შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის წამოწყება, მათი უმრავლესობა 55% აცხადებს, რომ მათ უნდოდათ ჰქონოდათ საკუთარი ბიზნესი, ხოლო 45% აღნიშნავს, რომ ვერ იშოვეს სამსახური. იხ. დიაგრამა #27

დიაგრამა #27: ამჟამად თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის წამოწყების მიზეზის მიხედვით



თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულებს ეკითხებოდნენ, თუ როგორ შეაფასებდნენ მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას. ამჟამად თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 52% აცხადებს, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია; 27% აღნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული მათ სამუშაოსთან, 17% ამბობს, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია, ვიდრე სამუშაოს მოთხოვნები, ხოლო 3.5% აცხადებს, რომ არასაკმარისი კვალიფიკაცია აქვთ. იხ. დიაგრამა #28

დიაგრამა #28: ამჟამად თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება მათი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობის მიხედვით



თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულებს ასევე ეკითხებოდნენ კმაყოფილნი იყვნენ თუ არა შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის ქონით. მათი უმრავლესობა, 53% აცხადებს, რომ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის ქონით კმაყოფილი არიან, 37% აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ არიან კმაყოფილი, ხოლო 10% ამბობს, რომ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის ქონით კმაყოფილი არ არიან. იხ. დიაგრამა #29

დიაგრამა #29: ამჟამად თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის ქონით კმაყოფილების მიხედვით



იმ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა შორის, რომლებიც ამჟამად გადიან სტაჟირებას/მუშაობენ შეგირდად, 36% გადის სტაჟირებას საკუთარი სპეციალობით. იხ. დიაგრამა #30

დიაგრამა #30: კურსდამთავრებულთა განაწილება სტაჟირების სფეროს საკუთარ სპეციალობასთან შესაბამისობის მიხედვით



გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 61% აცხადებს, რომ პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე მიღებული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს დაწყებას, 34% მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი ნაწილობრივ უწყობს ხელს დასაქმებას, ხოლო 5% მიიჩნევს, რომ პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამაზე მიღებული განათლება დასაქმებას ხელს არ უწყობს. იხ. დიაგრამა #31

დიაგრამა #31: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამებზე მიღებული განათლების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით